საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

შეხვედრა პლატფორმის წევრებთან

ოქმი

თარიღი: 2 აპრილი, 2024 წელი
დრო: 12:00 - 13:00
შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - (პლატფორმის თანათავმჯდომარე), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია ქალი და ბიზნესი;
4. ზვიად ელიზიანი - საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი;
5. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი;
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა;
7. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა;
8. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“;
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი;
10. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
11. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
12. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა;
13. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი;
14. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი";
15. ალექსანდრა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურსცენტრი

16. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი;
17. ალუ გამახარია - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია";
18. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის;
19. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
20. გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
21. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
22. ტატა ბერიძე - ბუღალტერთა კავშირი
23. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ცენტრი
24. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი ლეა
25. გერმანე სალია - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია

დღის წესრიგი

1. დელეგატების არჩევის კენჭისყრის შედეგები

წევრებთან შეხვედრას უძღვებოდა: საქართველოს ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).
შეხვედრის მიზანს წარმოდაგენდა ფორუმის 2 წლიანი ციკლში მონაწილეობის მისაღებად დელეგატების შერჩევის პროცესში, ეროვნულ დონეზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგების გაზიარება პლატფორმის წევრებისთვის.

კენჭისყრისი პროცესისა და შედეგების შესახებ ისაუბრა ეროვნული პლატფორმის სამდივნოს წარმომადგენელმა.

27 მარტს დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის 2 წლიან ციკლში (2024-2026) მონაწილეობის მისაღებად დელეგატების შერჩევის პროცესი. ფორუმის სამდივნომ საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს გაუზიარა ორგანიზაციების სია, რომელთაც გამოხატეს კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილი საქართველოდან.
ეროვნულ დონეზე ხმის მიცემა დაიწყო 27 მარტს და დასრულდა 2 აპრილს, 12:00 საათზე. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 11:45-ზე, პროცესის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, დაიწყო შეხვედრა პლატფორმის წევრებთან, ზუმის ფორმატის გამოყენებით და 12:00 საათზე, კენჭისყრის დასრულებისას, ერთად გავეცანით ეროვნულ დონეზე მიღებულ პირველად შედეგებს.

კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო ეროვნული პლატფორმის წევრმა 95-მა ორგანიზაციამ. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ განსაზღვრულია ყველა წევრი ქვეყნისთვის შესარჩევი დელეგატების თანაბარი რაოდენობა. ჯგუფებს შორის კვოტების გადანაწილება წარმოადგენს შემდეგს:

I ჯგუფი: 5 დელეგატი
II ჯგუფი: 4 დელეგატი
III ჯგუფი: 4 დელეგატი
IV ჯგუფი - 4 დელეგატი
V ჯგუფი - 3 დელეგატი

ზუმის ფორმატის გამოყენებით, გაზიარდა შედეგები წევრებთან და ასევე სამდივნომ სათითაოდ დაასახელა ჯგუფებში მიღებული ხმების რაოდენობა ყველა კანდიდატისთვის. ასევე დაზუსტდა, რომ არჩევნებში მიღებული ხმების შესახებ ინფორმაცია გადმოიწერება და გაეგზავნება პლატფორმის წევრებს.

ეროვნული კოორდინატორისა და სამდივნოს მხრიდან განიმარტა, რომ დელეგატების შერჩევის პროცესი ამით არ სრულდება. საქართველოს ეროვნული პლატფორმისთვის მოქმედებს 3 ხმის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ დელეგატების არჩევის პროცესში მონაწილეობს ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში და ფორუმის მმართველი კომიტეტი.
ეროვნულ დონეზე მიღებული შედეგები (ის დოკუმენტი, რომელიც წევრებთან გაზიარდება) გადაიგზავნება ფორუმის სამდივნოში.

წევრების მხრიდან უკმაყოფილება ფიქსირდება ფორუმის სამდივნოს მიერ გაზიარებულ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული კვოტირების საკითხები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ კოორდინატორსაც ჰქონდა კითხვები, რის საფუძველზე იქნა დადგენილი სტრუქტურული კვოტები, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით მას კომუნიკაცია აქვს ფორუმის სამდივნოსთან და შესაბამისი პასუხებს, რომელსაც მიიღებს, გაუზიარებს პლატფორმის წევრებს.

სხდომის თავმჯდომარე:
ნინო ჩხობაძე
პლატფორმის თანათავმჯდომარე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე